

ევროკომისია

ბრიუსელი, 3.12.2008  
COM(2008) 823 final

ევროკომისიის შეტყობინება ევროპარლამენტსა და ევროსაბჭოს

აღმოსავლეთის პარტნიორობა

{SEC(2008) 2974}

# ევროკომისიის კომუნიკატი ევროპარლამენტსა და ევროსაბჭოს

აღმოსავლეთის პარტნიორობა

## 1. ცვლილებათა პონტექსტი

ევროკავშირი განსაკუთრებული ინტერესით ადევნებს თვალს უკეთეს მმართველობასა და ეკონომიკურ განვითარებას თავის აღმოსავლეთ საზღვრებთან მდებარე ქვეყნებში. ამავე დროს ყველა ჩვენი პარტნიორი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში ცდილობს, რაც შეიძლება ინტენსიური იყოს მათი ურთიერთობა ევროკავშირთან, ხოლო ევროკავშირის პოლიტიკა ამ ქვეყნების მიმართ უნდა იყოს ქმედითი და მკაფიოდ განსაზღვრული. ევროკავშირი მხარს დაუჭერს აღნიშნულ ქვეყნებთან თანამშრომლობას და მათ ძალისხმევას ევროკავშირთან დაახლოებისათვის და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას გაუწევს მათ გამოწვევას რეფორმების გატარების კუთხით ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში<sup>1</sup>.

ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში რადიკალური ცვლილებები მოხდა ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებში. მას შემდეგ რაც ევროკავშირსა და მის აღმოსავლეთ პარტნიორებს<sup>2</sup> შორის დაიდო შეთანხმება პარტნიორობასა და თანამშრომლობაზე, წარმატებული გაფართოების შედეგად, მოხდა გეოგრაფიული დაახლოება ევროპასთან, ხოლო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში გატარებული რეფორმების მხარდაჭერამ ეს ქვეყნები პოლიტიკურად და ეკონომიკურად კიდევ უფრო დააახლოვა ევროკავშირთან. ევროკავშირი თავისი პარტნიორების მიმართ კიდევ უფრო გაზრდილი პასუხისმგებლობით ცდილობს, დაეხმაროს მათ არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების მიმართულებით. ის ხდილობს მხარი დაუჭიროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მისწრაფებას, რომ მათ ევროპასთან უფრო მჟიდრო კავშირის დამყარება შეძლონ. უკვე დადგა ის მომენტი, როდესაც ურთიერთობა ამ პარტნიორ ქვეყნებთან წინ უნდა წავიდეს და შეიცვალოს, არ უნდა შეიზღუდოს თითოეული ამ ქვეყნის სწრაფვა ევროკავშირთან მათი მომავალი ურთიერთობის კუთხით.

2008 წლის 19-20 ივნისს ევროსაბჭომ თხოვნით მიმართა ევროკომისიას აღმოსავლეთის პარტნიორობის შესახებ ინიციატივის მოსამზადებლად, სადაც ხაზგასმული იყო დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ხასიათის გათვალისწინებით ერთიანი და

<sup>1</sup> [http://ec.europa.eu/world/enp/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/world/enp/index_en.htm)

<sup>2</sup> აღმოსავლეთის პარტნიორები (ან უბრალოდ “პარტნიორები”) ამ სტატიის ფარგლებში არის აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, რომლებსაც ეხება ევროპის სამეზობლო პოლიტიკა; ესენია: ხომხეთი, ზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა და უკრაინა.

თანმიმდევრული პოლიტიკის ფარგლებში. განსაკუთრებული სიტუაციის გამო, რაც საქართველოში მიმდინარე კონფლიქტმა გამოიწვია, 2008 წლის 1 სექტემბერს ევროსაბჭომ მოითხოვა ამ ინიციატივის დაჩქარება. ასეთი რეაგირების აუცილებლობა კიდევ ერთხელ მკაფიოდ პასუხობდა ევროკავშირის ვალდებულებას, რაც საქართველოში შექმნილ კონფლიქტსა და მის ფართო შედეგებს მოჰყვა.

## 2. კიდევ უფრო ამბიციური პარტნიორობა

წინამდებარე შეტყობინება განსაზღვრავს წინადადებებს აღმოსავლეთის პარტნიორობისათვის, რამაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს უნდა მოუტანოს გრძელვადიანი პოლიტიკური გზავნილი ევროკავშირის სოლიდარობის, ასევე დამატებითი, შესამჩნევი მხარდაჭერა მათი დემოკრატიული, ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების, სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციისა და ტერიტორიული მთლიანობის კუთხით. ეს ყოველივე ემსახურება არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ მისი პარტნიორების და, შესაბამისად, მთელი კონტინენტის სტაბილურობას, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. აღმოსავლეთის პარტნიორობა რესეთთან პარალელურად გატარდება, რომელიც ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორია.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ უკვე აჩვენა, რომ ის წარმატებულია და თანდათანობით მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობის თვალსაზრისით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის და საჭიროა მათი კიდევ უფრო გავრცობა. ძირითადი პრინციპების შეთავაზება უნდა გულისხმობდეს, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობა და პარტნიორ ქვეყნებში განხორცილებული სახელმწიფოებრივი რეფორმები, რაც თითოეული მოქალაქისათვის აშკარა უპირატესობის მომტანი უნდა იყოს.

ადსანიშნავია, რომ პარტნიორობის პოლიტიკის გატარებაში სრულად უნდა იყოს ჩართული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები. აქტიური საპარლამენტო კონტაქტები და გაცვლითი პროგრამები კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

აღმოსავლეთის პარტნიორობა დამყარებული იქნება ორმხრივ ვალდებულებებზე კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა დაცვის, უმცირესობათა უფლებების დაცვისა და, როგორც საბაზრო ეკონომიკის, ასევე მდგრადი განვითარების კუთხით. ევროკავშირის ურთიერთობის სწრაფვის დონე აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივასთან იმდენად იქნება

გათვალისწინებული, რამდენადაც აისახება ზემოთ აღნიშნული ფასეულობები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეროვნულ პრაქტიკასა და პოლიტიკაში.

ერთობლივი მფლობელობა, ამ კუთხით, გადამწყვეტია და აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის გამტარებელ ორივე მხარეს განსაზღვრულ ვალდებულებებს აკისრებს. აღნიშნული ინიციატივის მიღწევა მხოლოდ ძლიერი ორმხრივი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი, რაც პოლიტიკურ გაერთიანებასა და ეკონომიკურ ინტეგრირებას გულისხმობს.

მიზნის მისაღწევად საჭიროა, საქმე ორმხრივი და მრავალმხრივი კუთხით წარიმართოს, რაც შემდეგს გულისხმობს:

- ორმხრივი დონისძიებების გატარება მოიცავს უფრო მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის, რათა ხელი შეუწყოს სტაბილურობასა და კეთილდღეობას, რაც საერთო ინტერესს წარმოადგენს. ეს გულისხმობს განახლებულ საკონტრაქტო ურთიერთობებს ასოცირების შესახებ შეთანხმების კუთხით; ასევე მოლაპარაკებებს თითოეულ ქვეყანასთან, რათა ისინი შევიდნენ დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონაში. ამასთან, ევროკავშირი მხარდაჭერას აღუთქვამს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომ მათ შეძლონ იმ მოთხოვნების დაქმაყოფილება, რაც საწინდარია თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესაქმნელად. ეს კი, თავის მხრივ, უფრო ხანგრძლივი დროით შეიძლება გადაიზარდოს სამეზობლო ეკონომიკურ თანამეგობრობაში. ორმხრივი დონისძიების გატარება მოიცავს სავიზო სისტემის თანდათანობით ლიბერალიზაციას უსაფრთხო გარემოში, ევროკავშირისა და მისი პარტნიორების მხრიდან თანამშრომლობის გაღრმავებას ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხით. აღნიშნული კურსი აგრეთვე ხელს უწყობს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რათა მკვეთრად შემცირდეს უთანასწორობა როგორც პარტნიორ ქვეყნებში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამის (CIB) ფარგლებში აუცილებელი რეფორმების ჩასატარებლად საჭირო იქნება თითოეული პარტნიორის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

- მრავალმხრივი დონისძიების გატარება წარმოადგენს ახალ სტრუქტურას საერთო გამოწვევებით. ქვემოთ წარმოდგენილია ოთხი პოლიტიკური პლატფორმა; ესენია: დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა; ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება; ენერგეტიკული უსაფრთხოება და ადამიანებს შორის კონტაქტების განვითარება. მრავალმხრივი დონისძიების გატარება, ასევე გულისხმობს არაერთ მნიშვნელოვან ინიციატივას, რაც ხელს შეუწყობს აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში არსებული მიზნების დაფინანსებას მრავალი

დონორის, საერთაშორისო საფინანსო ონსტიტუციებისა და პერძო სექტორის ხელშეწყობით.

### 3. ორმხრივი თანამშრომლობის გადრმავება

ევროკავშირთან ურთიერთობის თვალსაზრისით ეველა პარტნიორ ქვეყნას განსხვავებული მიზნები აქვს, თუმცა თითოეულ მათგანს საერთო სურვილი აერთიანებს, რაც ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ურთიერთობას გულისხმობს. ევროკავშირმა კი საჭიროა მიიღოს ეს გამოწვევა და პასუხად შესთავაზოს უფრო მაღალი დონის შეთანხმება პოლიტიკური ასოცირების კუთხით და თანდათანობით უფრო ინტენსიურად ჩაერთოს საკვანძო საკითხებში.

ევროკომისიის ადრინდელი წინადადების მიხედვით ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გამტკიცების შესახებ, აღმოსავლეთის პარტნიორობა კიდევ უფრო გააძლიერებს ურთიერთკავშირს ექვსსავე პარტნიორ ქვეყანასთან. ევროკავშირი ყოველთვის ცდილობდა თავისი ქმედებები მოერგო თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში არსებული კონკრეტული სიტუაციისათვის. რაც შეეხება ბელორუსის მონაწილეობას აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივაში, ეს დამოკიდებული იქნება ევროკავშირისა და ბელორუსის ურთიერთობების საერთო განვითარებაზე.

#### 3.1 ახალი საკონტრაქტო ურთიერთობა

ხელშეკრულება ასოცირების შესახებ წარმოადგენს პარტნიორი ქვეყნების მისწრაფებას, რომ მათ ევროკავშირთან კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეთ. ამ ხელშეკრულების ფარგლებში შეიცვლება ამჟამად არსებული შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. ევროკავშირთან პარტნიორობა განიხილება იმ ქვეყნებთან, რმლებსაც სურვილი აქვთ და, ამავე დროს, შეუძლიათ აიღონ შორს მიმავალი ვალდებულებები. ეს ახალი ხელშეკრულებები პოლიტიკურად უფრო ძლიერად დააკავშირებს პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან. აგრეთვე, აუცილებელია გაფართოვდეს თანამშრომლობა როგორც საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, ასევე ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მიმართულებით.

ხელშეკრულებათა შინაარსი განსხვავებული იქნება პარტნიორი ქვეყნების მიზნებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ასოცირების შესახებ ხელშეკრულებათა შესრულებას ხელს შეუწყობს მომდევნო დოკუმენტები, რომლებსაც მოიცავს ევროპის მიმდინარე სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო

გეგმა, სადაც დადგენილია შეასაბამისი ეტაპები, კრიტერიუმები და საფუძვლები, რაც შიდა რეფორმების დღის წესრიგში დგას.

დამაკმაყოფილებელი დონე დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა დაცვა, ასევე კონკრეტული მტკიცებულებები, რომ საარჩევნო კანონმდებლობის სტრუქტურა და პრაქტიკა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, სრული თანამშრომლობა ევროპის საბჭოსთან, ეუთოსთან, დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისთან, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოებთან, წინაპირობა იქნება მოლაპარაკებების დასაწყებად და შემდგომი ურთიერთობების გასაღრმავებლად.

პარტნიორი ქვეყნების დასახმარებლად, რომ მათ უპასუხონ ასოცირების შესახებ არსებული ხელშეკრულების პირობებსა და მოთხოვნებს, ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამა (CIB) ადმინისტრაციული შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, თანამშრომლობის ყველა სექტორში შემუშავდება თითოეულ პარტნიორ ქვეყანასთან და ევროკავშირის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI)<sup>3</sup> საშუალებით მიიღებს თანადაფინანსებას.

### 3.2 თანდათანობითი ინტეგრაცია ევროკავშირის ეკონომიკაში

დია ბაზარი და ეკონომიკური ინტეგრაცია ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია პარტნიორი ქვეყნების განვითარებისა და ნდობისათვის ევროკავშირთან პარტნიორობის გაზრდის თვალსაზრისით. ხელშეკრულებები ასოცირების შესახებ უზრუნველყოფს ბაზარზე შესვლის ორმხრივ შესაძლებლობას, რაც ორივე მხარეს ახალ საშუალებას მისცემს და ხელს შეუწყობს პოლიტიკურ სტაბილურობას.

ხელშეკრულება ასოცირების შესახებ მიზნად ისახავს დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი გაჭრობის ზონის (DCFTA) ჩამოყალიბებას თითოეულ პარტნიორ ქვეყანასთან <sup>4</sup>. აღნიშნული გაჭრობის ზონები (DCFTA)

<sup>3</sup> ევროპარლამენტისა და ეკონომიკის 2006 წლის 24 ოქტომბის რეგულაცია № 1638/2006.

<sup>4</sup> ევროკომისიამ ხაზი გაუსვა დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი გაჭრობის შეთანხმების პრიორიტეტებს 2006 წლის 4 დეკემბრით დათარიღებულ კომუნიკაციაში სათაურით: “ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გაძლიერება” - COM(2006)726 - და 2007

წლის 5 დეკემბრის კომუნიკაციში სათაურით: “ძლიერი ევროპის სამეზობლო პოლიტიკა” -COM(2007) 774 - და, განსაკუთრებით კი: “ევროპის სამეზობლო პოლიტიკა – ნაბიჯი მომავალი ეკონომიკური ინტეგრაციისაკენ”, იხილეთ შემდეგი ბმული [shttp://ec.europa.eu/world/enp/pdf/nonpaper\\_economic-integration\\_en.pdf](http://ec.europa.eu/world/enp/pdf/nonpaper_economic-integration_en.pdf).

მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდება, როდესაც ეს ქვეყნები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრი გახდება<sup>5</sup>. ეს, ძირითადად, ვაჭრობის უკელა სფეროს მოიცავს ენერგეტიკის ჩათვლით და მიზნად ისახავს ლიბერალიზაციის მაქსიმალურად მაღალ დონეს<sup>6</sup> (ლიბერალიზაციის ტემპის ასიმეტრიულობით პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკასთან). ეს მოიცავს სამართლებრივად დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომელიც სავაჭრო ზონებთან დაახლოებას არეგულირებს და, ამდენად, თავისი წვლილი შეაქვს პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკის მოდერნიზაციაში, ასევე ამჟარებს აუცილებელ ეკონომიკურ რეფორმებს. ამით რეალური პერსპექტივა იქმნება პროდუქციის (აქ შეიძლება იგულისხმებოდეს შეთანხმება სამრეწველო პროდუქტის შესაბამისობის შეფასებასა და მიღებაზე ანუ თუ აღიარებულია, რომ სოფლისმეურნეობის ნაწარმი ან სხვა პროდუქტი სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების დაცვითაა წარმოებული და შეესაბამება აღიარებულ ნორმებს, მაშინ ამ ნაწარმს არ უნდა პქონდეს შეფერხება მოძრაობაში), კაპიტალისა და მომსახურების მიწოდების თავისუფალი გადაადგილების თვალსაზრისით (სამართლებრივი და ინსტიტუციური ფარგლების გარკვეულ სექტორებში პირობების გათვალისწინებით ორმხრივ აღიარებას გულისხმობს. ასევე უკეთესი პირობები იქმნება კომპანიების შესაქმნელად. გარდა ამისა, უფრო მეტ საშუალებას აძლევს ადამიანებს, რომლებიც დროებით, საქმიანი მიზნების გამო იმყოფებიან წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე), რომლის მიღწევაც მხოლოდ გრძელვადიან პერიოდშია შესაძლებელი.

**ასოცირების შესახებ ხელშეკრულების დასრულებისას ზოგიერთი პარტნიორი ქვეყანა შეიძლება არ იყოს მზად მოლაპარაკებათა დასაწყებად და იმ გალდებულებების ასაღებად, რაც მიზნად არის დასახული. მიუხედავად იმისა, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი გაჭრობის ზონის (DCFTA) ჩამოყალიბება ასოცირების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, მოლაპარაკებათა დაწყება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც თავისუფალ სავაჭრო ზონაში მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის (WTO) წინაშე ადებული ვალდებულებები ქმედითუნარიანი, ღრმა და ყოვლისმომცველია. თუ პარტნიორი ქვეყანა საკმაოდ წარმატებულად არომევს თავს დასახულ მიზნებს, მზადაა მოლაპარაკებებისათვის, ასევე იმისათვის, რომ ეფექტურად განახორციელოს და შეინარჩუნოს შორს მიმავალი ლიბერალიზაციის პროცესი, ევროკომისიის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ანგარიში წარმატების შესახებ, ხელს შეუწყობს აღნიშნულის შეფასებას. ყოვლისმომცველი ინსტიტუციური**

<sup>5</sup> ამჟამად მხოლოდ ზერბაიჯანი და ბელორუსია, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ დაასრულა მოლაპარაკებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან.

<sup>6</sup> ეს გულისხმობს სოფლისმეურნეობის პროდუქტების შემცირებას სრული ლიბერალიზაციის გამორიცხვით, 2007 წლის 5 დეკემბრის კომუნიკაცია “ძლიერი ევროპის სამეზობლო პოლიტიკა – COM(2007)774.

განვითარების პროგრამის (CIB) დახმარებით პარტნიორები უნდა მოქმედონ მოლაპარაკებებისათვის და განახორციელონ ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის (DCFTA) ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებები.

გრძელვადიანი მიზნით შესაძლებელი იქნება მომზადდეს ორმხრივი შეთანხმებები პარტნიორ ქვეყნებს შორის, რაც, თავის მხრივ, საწინდარი იქნება სამეზობლო ეკონომიკური თანამეგობრობის შესაქმნელად, რასაც ქვემოთ, მეოთხე პარაგრაფში განვიხილავთ.

ამასთან ერთად უნდა გატარდეს დარგობრივი ზომები, რაც ხალს შეუწყობს პარტნიორ ქვეყნებს შევიღნენ ბაზარზე. სოფლისმეურნეობის სექტორში გეოგრაფიულ მიმართულებაზე შეთანხმების ფარგლებში გაიმართება მოლაპარაკებები პარტნიორ ქვეყნებთან<sup>7</sup>. დიალოგი სოფლისმეურნეობის სფეროში შეიძლება გათვალისწინებული იყოს იქ, სადაც ამის აუცილებლობაა, რათა გაუმჯობესდეს ორმხრივი გაგება ევროკავშირსა და პარტნიორი ქვეყნების სოფლისმეურნეობის პოლიტიკის მხრივ. ეს კი საშუალებას იძლევა, ჩატარდეს მუშაობა პარმონიზაციის კუთხით. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა შესაძლებელია წარმატებული დიალოგის კიდევ უფრო გაძლიერებით და შეთანხმებებით ლეგალიზაციის შესახებ პარტნიორ ქვეყნებსა და ვროპის საპატენტო ოფისს შორის. ეკონომიკური საქმიანობის გასავითარებლად შესაბამისი მარეგულირებელი კუთხით, წინ წამოიწევს და ყურადღება გამახვილდება კარგ მმართველობაზე საგადასახოდო სფეროში.

### 3.3. მობილურობა და უსაფრთხოება

პარტნიორი ქვეყნები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ევროკავშირთან უფრო მჭიდროდ დასაკავშირებლად და მობილურობის წასახალისებად უსაფრთხო გარემოს<sup>8</sup> შექმნა აღმოსავლეთის პარტნიორობისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს. ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს მოქალაქეთა მობილურობას იმ პარტნიორ ქვეყნებთან, რომლებიც მზად არიან აიღონ ვალდებულებები, რათა უზრუნველყონ ჟენდერული პირობა კარგად მართული და უსაფრთხო მობილურობისათვის.

ევროკავშირმა უნდა შესთავაზოს პარტნიორებს პაქტი “მობილურობისა და უსაფრთხოების” შესახებ, რაც გულისხმობს როგორც მობილურობას, ასევე უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას საჭირო პირობებით. პაქტი ისეთ საკვანძო

<sup>7</sup> მოლაპარაკებები გრძელდება უკრაინასთან და საქართველოსთან და ამის შემდეგ მოლდოვისთვისაც მოხდება აღნიშნულ თემაზე წინადადების შეთავაზება.

<sup>8</sup> COM(2007) 774.

საკითხებს, როგორებიცაა არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა, თავშესაფრების სისტემის დაახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან, საზღვრის მართვის ინტეგრირებული სტრუქტურების შეიქმნა, რაც ორიენტირებული იქნება ევროკავშირის სამართლებრივ საფუძველზე (ეწ. *acquis*-ზე), ასევე პოლიციისა და სასამართლო სისტემის გაუმჯობესება, განსაკუთრებით კი ეს ეხება კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნული პაქტი გააუმჯობესებს ადამიანთა მობილურობას. პარტნიორების ხელშეწყობა მათი სტაბილურობისა და უსაფრთხოების კუთხით თავად ევროკავშირისათვისაც მომგებიანი იქნება, ვინაიდან მისი საზღვრები უფრო დაცული იქნება. აღნიშნული საკითხები ისე შემუშავდება, რომ ის თითოეულ პარტნიორ ქვეყანაზე იყოს მორგებული.

პაქტის ნაწილი, რომელიც **მობილურობას** ეხება, ასახავს ევროკომისის კომუნიკაციას გლობალური მიდგომის გაძლიერებას მიგრაციის შესახებ და ევროპის პაქტს იმიგრაციისა და თავშესაფრის თაობაზე, რომელმაც 2008 წლის ოქტომბერში ევრსაბჭოს მოწონება დაიმსახურა. მთავარი იარაღი არის პარტნიორობა მობილურობის შესახებ, რომელიც აისახება მიგრაციაზე გლობალური მიდგომის ჭრილში. ამჟამად ის საცდელ პროცესს გადის რამდენიმე ქვეყანაში მოლდოვის რესპუბლიკის ჩათვლით (შემდგომში მოვისენიებთ “მოლდოვა”-თი). ამ ფართო კონცეფციის ნაწილი იქნება სავიზო კოლიტიკის განვითარება.

სავიზო პოლიტიკისადმი მიდგომა ეტაპობრივი იქნება. ამას წინ უძვის სავიზო რეჟიმის გამარტივება კონკრეტული პირობებისა და თანმდევი ღონისძიებების გათვალისწინებით, რაც პარტნიორებისათვის ფინანსური დახმარების გაწევასაც გულისხმობს.

იმ წინადაღებების გარდა, რომელიც განსახილველად იყო გამოტანილი, ზემოთ ხსენებული პაქტის ფარგლებში ევროკავშირმა უნდა აიღოს შემდეგი გალდებულებები:

- პირველი ნაბიჯი უნდა გადაიდგას პარტნიორებთან სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე საუბრის დაწყებით მაშინაც კი, როცა არ არსებობს ამგვარი შეთანხმება. გამარტივებულ სავიზო რეჟიმზე ხელშეკრულებებს მოჰყვება ხელშეკრულებათა ხელახალი მიღება. სადაც აუცილებელია, ტექნიკური დახმარების ფარგლებში ხორციელდება ზოგადი დახმარება ბიუჯეტის კუთხით. ეს ხელს შეუწყობს პარტნიორებს, რომ უპასუხონ იმ ვალდებულებებს, რაც გამომდინარეობს აღნიშნული ხელშეკრულებიდან.

- მეორე ნაბიჯი უნდა გადაიდგას ამ ხელშეკრულებათა გადახედვის კუთხით, რაც დამატებით გამარტივებას გულისხმობს, კერძოდ, თითოეული მოქალაქისათვის ვიზის ღირებულების დაწევას<sup>9</sup>.
- განვითარდეს კოორდინირების გეგმა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკონსულო დეპარტამენტების დაფარვის არეალი გაუმჯობესდეს და მათი წარმომადგენლობები გაფართოვდეს რეგიონების მიხედვით. ფინანსური ხელშეწყობით შეიქმნას საერთო სავიზო ანგეტის ცენტრები, რაც ჩისინაუში წარმატებით განხორციელებულ გამოცდილებას ეფუძნება.
- მას შემდეგ, რაც სავიზო ხელშეკრულების გამარტივება ეფექტურად დაინერგება, უნდა მოხდეს დია დიალოგის დაწყება პარტნიორებთან უვიზო რეჟიმის შესახებ<sup>10</sup>. დიალოგის შედეგად უნდა შეიქმნას გეგმა, რომლის მთავარი ამოცანაც იქნება ვიზის საფასურის დაწევა, რაც თავისთავად ოთხ მთავარ საკითხს მოიცავს: დოკუმენტების საიმედოობა, არარეგულარული მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა, საზოგადოებრივი წესრიგისა და საგარეო ურთიერთობათა საკითხები, იგულისხმება მიგრანტთა და ასევე სხვა მსგავსი ჯგუფების უფლებების დაცვა.
- ევროკომისია დაიწყებს შესწავლას, თუ ევროკავშირისა და მისი პარტნიორი ქვეყნებისათვის რა ხარჯისა და სარგებლის მომტანია შრომითი მობილურობა და მასზე გათვალისწინებული ღონისძიებები<sup>11</sup>. შესწავლის შემდეგ მიღებული შედეგების საფუძველზე ევროკავშირი მიზნობრივად დაიწყებს შრომითი ბაზრის გახსნას პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეებისათვის, ამავე დროს ხელს შეუწყობს ცირკულარულ მიგრაციას მობილური პარტნიორობის ფარგლებში.
- იმ შემთხვევაში თუ მიმოსვლა ხორციელდება უსაფრთხო გარემოში, მაშინ ევროკავშირი უნდა დაეხმაროს პარტნიორ ქვეყნებს, დანერგონ პოლიტიკური და სამართლებრივი ვალდებულებები, რომლებიც მათ უკვე აღებული აქვთ აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში მართლმსაჯულებისა და კანონის აღსრულების სფეროებში. ეს შეიძლება გაკეთდეს ტექნიკური თანამშრომლობისა და ფინანსური დახმარების გაძლიერებით, სადაც პროექტებისა და ტექნიკური დახმარების საინფორმაციო გაცვლის ოფისის (TAIEX) როლი საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს.

<sup>9</sup> დასკვნები გამოტანილია 2007 წლის სტატისტიკური მონაცემებიდან. თუ გავითვალისწინებთ, რომ განცხადებათა რიცხვი არ იზრდება, სავიზო მოსაკრებლის ღირებულების დაწევა ექვენი პარტნიორი ქვეყნისათვის, შეადგენს დაახლოებით 75 მილიონ ევროს. ეს თანხა არის ყველა იმ წევრი სახელმწიფოსათვის, რომელიც შენგენის ზონაშია. იმ წევრ ქვეყნებს კი, რომლებიც არაა შენგენის ზონაში, მოვუწოდებთ სავიზო მოსაკრებლის ფასი დაწიონ.

<sup>10</sup> 2008 წლის სექტემბერში ევროკავშირსა და უკრაინას შორის გამართულ სამიტზე გადაწყდა, დაიწყოს დიალოგი უვიზო მიმოსვლის რეჟიმზე გრძელვადიანი პერსპექტივით.

<sup>11</sup> აღნიშნული საკითხის შესასწავლად გამოყენებული იქნება ევროკომისიის მომავალი ცომუნიკაცია, ‘ახალი უნარები ახალი სამუშაოსათვის’, რომელიც კიდევ უფრო შეავსებს მას.

უფრო კონკრეტულად კი, ზემოთ მოხსენიებული პაქტის ფარგლებში ევროკავშირმა უნდა აიღოს შემდეგი ვალდებულებები:

- დაეხმაროს პარტნიორ ქვეყნებს, შეიქმნას მაღალი სტანდარტების შესაბამისი საზღვრის მართვის პროცედურები ქვეყნის გარეთ არსებულ საზღვრებზე.
- დაეხმაროს პარტნიორებს, შექმნან ეფექტური მონაცემთა დაცვის რეჟიმი, რაც საშუალებას მისცემს, ოპერატორი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ევროპოლისა და ევროჯასტისათვის ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში.
- მისცეს საგრანტო პარტნიორებს განსაკუთრებული სტატუსი ევროკავშირის შესაბამისს სააგენტოებში.
- მხარი დაუჭიროს პარტნიორ ქვეყნებს, რომ მათ მიიღონ და ეფექტურად განახორციელონ ეროვნული სტრატეგია ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ეს გულისხმობს ენერგიულ ბრძოლას ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგისა და კორუფციის წინააღმდეგ. უნდა აღიკვეთოს ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება, რაც ეფექტურად უნდა დაიძლიოს მისი გამოვლენის აღრეულ ეტაპზე.

### 3.4. ენერგეტიკული უსაფრთხოება

ევროპის პარტნიორობა მიზნად ისახავს გააძლიეროს ევროკავშირისა და მისი პარტნიორი ქვეყნების ენერგო უსაფრთხოება გრძელვადიანი ენერგეტიკული მოწოდებისა და ტრანზიტის კუთხით<sup>12</sup>. გარდა ამისა, მრავალმხრივი ინიციატივით (იხილეთ პარაგრაფი 4.3.), ევროკომისიამ წამოაყენა წინადადება და რამდენიმე ორმხრივი დონისძიება, რომ მხედველობაში იქნებს მიღებული მეორე მიმოხილვა სტრატეგიული ენერგეტიკის დარგში<sup>13</sup>.

- “ენერგეტიკული ურთიერთდამოკიდებულების” შესახებ დებულებები შევიდეს ხელშეკრულებაში ასოცირების შესახებ სხვა ისეთ საკითხებთან ერთად, როგორებიცაა ევროკავშირის ვაჭრობა კონკურენცია და ენერგოპოლიტიკა. საჭიროა, გაიმართოს მოლაპარაკებები პარტნიორ ქვეყნებთან და, საჭიროების

<sup>12</sup> შემფოთებას იწვევს კონფლიქტურ ზონებში მთავარი სატრანზიტო მიღსადენების დახურვა. ამიერკავკასიაში შექმნილი არასტაბილურობა საშიშროებას უქმნის რეგიონის ენერგოუსაფრთხოებას. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართული პიდროელექტრო სადგური ესაზღვრება აფხაზეთის მხარეს. საქართველო ელექტროენერგიით ამარავებს სომხეთსა და აზერბაიჯანს. რუსეთის გაზს სომხეთი საქრთველოზე გავლით იღებს. მთავარი გაზის მიღსადენი რუსეთიდან ბალკანეთამდე გადის ტრანსისტრის რეგიონზე, რომელიც მოლდოვაშია. ეს ფაქტორები გავლენას ახდენს ინვესტორთა ნდობაზე, მდგრადი ენერგეტიკული ტრანზიტის პერსპექტივებზე კავკასიის გავლით და ევროკავშირის სტრატეგიაზე ახალი ენერგომომწოდებლების უზრუნველყოფით მცირე აზიაში.

<sup>13</sup> ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებისა და სოლიდარობის სამოქმედო გეგმა - COM(2008) 744.

**შემთხვევაში მხედველობაში იქნეს მიღებული არსებული შეთანხმების მემორანდუმი<sup>14</sup>.**

სწრაფად უნდა დასრულდეს მოლაპარაკებები უკრაინისა და მოლდოვის გაწევრიანებაზე ენერგეტიკულ თანამეგობრობაში. შესაბამის პერიოდში საჭიროა დამკარგებლობის გაფართოების განხილვა სხვა პარტნიორი ქვეყნების კუთხით.

- **შეთანხმების მემორანდუმის დასარულება ენერგეტიკულ საკითხებზე მოლდოვასთან, საქართველოსთან და სომხეთთან, როგორც დამატებითი მოქნილი საშუალება, საჭიროების შემთხვევაში განიხილება. ამისათვის საჭიროა ისეთი დონისძიებების შემუშავება, როგორიცაა ენერგეტიკული უსაფრთხოების მიწოდებისა და ტრანზიტის ხელშეწყობა და მონიტორინგი. ასევე მათ უნდა ჰქონდეთ აუცილებელი ენერგო ინფრასტრუქტურა. სომხეთის შემთხვევაში შეთანხმების მემორანდუმი ასევე შეეხება მეძამორის ატომური ელექტროსადგურების დახურვას.**
- უნდა გაიზარდოს მხარდაჭერა უკრაინისათვის, რომ ის სრულად იყოს ინტეგრირებული ევროკავშირის ენერგობაზარზე. ევროკავშირი აღიარებს ატომური უსაფრთხოების დონის დამაკმაყოფილებელი შეფასების მნიშვნელობას უკრაინის ატომური ელექტროსადგურების მუშაობაში. უკრაინის ნავთობისა და გაზის სატრანზიტო ქსელის რეაბილიტაცია პრიორიტეტულია, მათ შორის უკრაინაში მიმავალი გაზისა და ნავთობის მონიტორნიგის გაუმჯობესება. ინგენერებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მიზანი იყო უკრაინისათვის გაზის სატრანზიტო ქსელის რეაბილიტაცია და განვითარება, რომელიც 2009 წელს ჩატარდა.
- საჭიროა, აზერბაიჯანი პოლიტიკურად უფრო ჩართული იყოს, ვინაიდან ის ევროპის ერთადერთი პარტნიორია, რომელიც ევროკავშირს ნახშირწყალბადით ამარაგებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თანდათანობით მოხდება აზერბაიჯანის დაახლოება ევროკავშირის ენეგრეტიკულ ბაზართან და ინფრასტრუქტურულ ინტეგრაციასთან.
- მნიშვნელოვანია, საბოლოო ფორმა მიეცეს ევროკომისიისა და ბელორუსის დეკლარაციას ენერგეტიკის დარგში, რაც ენერგეტიკული თანამშრომლობის კუთხით მომავალშიც გაგრძელდება. აღნიშნულმა თანამშრომლობამ შიეძლება მოიცვას ნახშირწყალბადის ტრანზიტი, რაც ენერგოსექტორში მიმდინარე რეფორმების გატარებას შეუწყობს ხელს.
- აუცილებელია ყველა პარტნიორი ქვეყნის წახალისება, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ევროპის ენერგოუშიშროების პროგრამაში.

<sup>14</sup> ამ კომუნიკაციაში ნახსენები შეთანხმების მემორანდუმები არ შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტი.

### **3.5. ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხარდაჭერა**

ზოგიერთ პარტნიორ ქვეყანაში შეინიშნება სტრუქტურული პრობლემები, რაც გამომდინარეობს რეგიონებსა და მოსახლეობის ჯგუფებს შორის არსებული მკვეთრი ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობიდან. ეს ჯგუფები ხშირად იყოფა ისტორიული, კულტურული, ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნებით, თუმცა ყველა მათგანი ცდილობს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით მიუახლოვდეს ეკონომიკური სტანდარტებს. აღნიშნული გამოწვევების თვალსაზრისით, აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივაში მონაწილე პარტნიორმა ქვეყნებმა უნდა შეძლონ, გამოიყენონ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მექანიზმები და გამოცდილება. ამიტომ ეკონომიკური მათ სთავაზობს:

- პარტნიორებთან ერთად გამოიყენონ შეთანხმების მემორანდუმი რეგიონული პოლიტიკის შესახებ, რაც დიალოგის წარმართვის საწინდარი გახდება. ეკონომიკური შეუძლია მათ დახმარება გაუწიოს აღმინისტრაციული შესაძლებლობების შექმნაში როგორც ნაციონალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე და ხელს შეუწყობს ეროვნული გეგმის განხორციელებაში.
- დამატებითი დაფინანსებით (იხილეთ მეხუთე პარაგრაფი) ითანამშრომლონ პარტნიორებთან რეგიონული განვითარების პილოტურ პროგრამაზე, რომელიც მიმართული იქნება ადგილობრივ მოთხოვნაზე ინფრასტრუქტურის, ადამიანური კაპიტალის, მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებაზე. ეს მორგებული იქნება ეკონომიკური ერთობის პოლიტიკაზე.
- პირდაპირ ითანამშრომლონ ეკონომიკური და პარტნიორი ქვეყნების რეგიონებმა არსებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ეკონომიკის ტრანსნაციონალურ პროგრამასთან შესაბამისი პარტნიორების მონაწილეობით.
- ეკონომიკის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის დაფინანსება პარტნიორი ქვეყნების საზღვრებთან უფრო გაიზარდოს საზღვრებს მიღმა თანამშრომლობისათვის. აღნიშნული დაფინანსება ამჟამად ხორციელდება ეკონომიკური გარეთ მდებარე საზღვრებთან.

### **4. ახალი ღონისძიებები მრავალმხრივი თანამშრომლობისათვის**

აღმოსავლეთის პარტნიორობა ახალ მრავალმხრივ ღონისძიებებს გაატარებს ეკონომიკური და მისი პარტნიორების ურთიერთობების მიმართ. ეს ხელს შეუწყობს პარტნიორი ქვეყნების ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას ეკონომიკურთან, რაც გაგრძელდება და მართული იქნება დიფერენციაციის პრინციპებით და განვითარდება თითოეული მხარის ამბიციისა და

შესაძლებლობის მიხედვით. ამ დონისძიების ფარგლებში გაიმართება ფორუმი, სადაც მოხდება ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა პარტნიორების მიერ გადადგულ ნაბიჯებზე გარდამავალი ეტაპის, რეფორმებისა და მოდერნიზაციის კუთხით<sup>15</sup>, რაც ევროკავშირს დამატებით საშუალებას მისცემს, რომ მიჰყევს ამ პროცესებს. აღნიშნული დონისძიება ხელს შეუწყობს საერთო პოზიციის განვითარებას და ერთობლივ საქმიანობას. მრავალმხრივი დონისძიება ხელს შეუწყობს თავად პარტნიორთა დაახლოებას. დისკუსიისათვის ბუნებრივი ფორუმი შეიქმნება, რაც აღმოსავლეთის პარტნიორობის მომავალი განვითარებისთვისაა მნიშვნელოვანი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი და მარეგულირებელი კუთხით დაახლოება აუცილებელია, რომ პარტნიორმა ქვეყნებმა წარმატებას მიაღწიოს და უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ ევროკავშირს. შემოთავაზებული მრავალმხრივი დონისძიება უზრუნველყოფს სისტემური ორგანიზაციების შექმნას, გაიმართება სესიები, სადაც ჩაერთვება ევროკომისიის შესაბამისი სამსახურები და, თუ საჭირო გახდება, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ექსპერტები. ამ სესიებზე მოხდება ევროკავშირის კანონმდებლობისა და სტანდარტების გაცნობა და განმარტება, რომელსაც შეადარებენ ეროვნულ პოლიტიკასა და კანონმდებლობას. აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივით დაიწყება სტრუქტურული დაახლოების პროცესი, რომელსაც ხელს შეუწყობს ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამა (CIB)<sup>16</sup>.

არსებობს საფუძვლიანი დამატება აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივას, შავი ზღვის ქვეყნებს, ასევე სხვა რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებს შორის. ეს უკანასკნელი განხილულია ევროკომისიის სამუშაო დოკუმენტებში, რომლებიც თან ახლავს აღნიშნულ კომუნიკაციას.

#### 4.1. სამოქმედო სტრუქტურა

ევროკომისიის შემოთავაზებაა, რომ მოეწყოს აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში მრავალმხრივი დონისძიება, რომელიც ოთხ ეტაპს მოიცავს, ესენია:

- აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრი ქვეყნების სახელმწიფო მეთაურების ან მთავრობის შეხვედრები, რომლებიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს.

<sup>15</sup> იხილეთ ევროკომისიის 2007 წლის გაზაფხულზე შემუშავებული დოკუმენტი “ევროპის სამეზობლო პოლიტიკის თემატური გაფართოება, [http://ec.europa.eu/world/pdf/non-paper\\_thematic-dimension\\_en.pdf](http://ec.europa.eu/world/pdf/non-paper_thematic-dimension_en.pdf).

<sup>16</sup> ევროკავშირის კანონმდებლობისა და სტანდარტების წარმოდგენა კიდევ გაგრძელდება და ასევე განიხილება ორმხრივი თემატური ქვეკომიტეტების ფარგლებში.

- აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა უნდა წინ წავიდეს და განვითარდეს საგარეო საქმეთა მინისტრების გაზაფხულზე გამართული ყოველწლიური შეხვედრებით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ევროკავშირი და აღმოსავლეთის პარტნიორი ქვეყნები ბელორუსის ჩათვლით, რომელიც მიმაგრებულია ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობათა საბჭოს. საგარეო საქმეთა მინისტრები განიხილავენ მიღწეულ შედეგებს და დასახავენ პოლიტიკურ ორიენტირებს. კონკრეტული სექტორის მუშაობა შეიძლება გაიზარდოს შესაბამისი სექტორის მინისტერიალის კონფერენციებით.
- მესამე ეტაპზე თანამშრომლობის მთავარი არეალების მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს ოთხი თემატური პლატფორმა (იხილეთ პარაგრაფი 4.2.). თითოეული პლატფორმა დასახავს უმთავრეს რეალისტურ მიზნებს, რომლებიც პერიოდულად უნდა განახლდეს. აღნიშნული ეხება პროგრამულ სამუშაოებსა და მიღწევების განხილვას. შეხვედრები მინიმუმ წელიწადში ორჯერ მაინც უნდა გაიმართოს. მასში მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი ოფიციალური პირები, რომლებიც ჩართულები არიან შესაბამის არეალში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში. ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებსაც გარდამავალ ეტაპზე ყოფნის გამოცდილება აქვთ, განსაკუთრებულ წვლილს შეიტანენ აღნიშნულ პროცესში. პლატფორმის შედეგების გაცნობა მოხდება საგარეო საქმეთა მინისტრების ყოველწლიურ შეხვედრაზე. ევროკომისია მოამზადებს შეხვედრათა განრიგს ევროკავშირის მეთაურებთან და პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით და თავადვე წარმართავს ამ შეხვედრებს. პლატფორმათა მუშაობა შეიძლება დროდადრო წინ წამოსწიოს შესაბამისი სექტორის მინისტერიალის შეხვედრებმა.
- მეოთხე ეტაპზე კი, აუცილებელია არსებობდეს ჯგუფები, რომლებიც ხელს შეუწყობს თემატური პლატფორმების მუშაობას შესაბამის სფეროებში. მათი ფორმატი და მონაწილეობა გინაობა განისაზღვრება საჭიროებისდა მიხედვით. ევროკომისი, თავის მხრივ, განიხილავს მის სტრუქტურას, რათა დარწმუნდეს აუცილებელი შეთანხმების არსებობაში, რაც აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის წარმატებით განხორციელების საწინდარია.

## 4.2. თემატური პლატფორმები

### დუმოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა

მაშინ, როდესაც ყველა პარტნიორი ქვეყანა რეფორმების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება, ისინი საერთო გამოწვევების წინაშე დგანან, რაც გულისხმობს სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარებას და ეფექტური

სახელმწიფო სტრუქტურის შექმნას, რომელიც მათი მოქალაქეების სამსახურში იქნება. რეფორმა ასევე მოიაზრებს ევროსაბჭოსა და ეუთოსაგან დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. პარტნიორ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები მოითხოვს, რომ სამოქალაქო საზოგადოება უფრო ძლიერად იყოს ჩართული, განამტკიცოს ზედამხედველობა საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში და უფრო განამტკიცოს საზოგადოების ნდობა მათ მიმართ. მრავალმხრივი საქმიანობა შეიძლება გულისხმობდეს თანაბარ მმართველობას და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, რომელიც მიმართული იქნება საარჩევნო სტანდარტების გაუმჯობესების, მედიის დარღვეულირების ან კორუფციის დაძლევისაგან.

აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივამ ხელი უნდა შეუწყოს სტაბილურობას და მრავალმხრივი ნდობის აღდგენას, ასევე პარტნიორი ქვეყნების სუვერენიტეტს, რაც აუცილებელია ტერიტორიული ინტეგრაციის მიზნით. ასევე უნდა განავითაროს და წინ წამოსწოოს საერთო ინტერესთა სფეროში არსებული პოლიტიკური დიალოგის თემა და მოიცვას საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP), ასევე საერთო თავდაცვისა და უშიშროების პოლიტიკის (ESDP) საკითხები, სადაც პარტნიორი ქვეყნები მიიღებენ მონაწილეობას. საჭიროა, ადრეულ ეტაპზე განმტკიცდეს გაფრთხილების ღონისძიებები კონფლიქტური ზონების მიმართ, რაზეც განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებაა საჭირო.

## ეკონომიკური ინტეგრაცია და ეკონომიკური პოლიტიკასთან დაახლოება

პარტნიორ ქვეყნებს შეუძლიათ, რომ სარგებელი ნახონ, თავიანთი ძალისხმევა მიმართონ ეკონომიკური ინტეგრაციისა და ეკონომიკურთან დაახლოებისაკენ. გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში ეკონომიკურმა უნდა წაახალისოს პარტნიორი ქვეყნები, რათა მათ ერთმანეთში ჩამოაყალიბონ ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი გაჭრობის (DCFTA) ქსელი ან შეთანხმება თავისუფალ ვაჭრობაზე, რაც ორმხრივი ვალდებულებების აღებას მოითხოვს ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი გაჭრობის შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში ეკონომიკურთან. ეს მნიშვნელოვანწილად გააძლიერებს რეგიონთა შორის ვაჭრობას, ასევე ეკონომიკურ ინტეგრაციასა და ქვეყნების ძალისხმევას ეკონომიკურთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის კუთხით. მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს მომავალ ეკონომიკურ ინტეგრაციას იქნება წყაროთა დიაგონალური კუმულაცია. მეორე საკვანძო საკითხი პარტნიორი ქვეყნებისათვის მხარდაჭერის მხრივ არის საბაჟო სფეროში რეფორმების გატარება. მიზნად უნდა იყოს დასახული სექტორის გაუმჯობესება საერთაშორისო და ეკონომიკურის სტანდარტების გათვალისწინებით. ეს პროცესი მორგებული უნდა იყოს პარტნიორი ქვეყნების,

როგორც გარდამავალი ქვეყნების სტატუსზე და უნდა გამომდინარეობდეს შესაბამისი პოლიტიკით. ევროკავშირისა და მისი პარტნიორი ქვეყნებისათვის შეძლები ნაბიჯი შეიძლება იყოს უფრო ფართო რეგიონულ ვაჭრობასთან მიახლოება და **სამქობლო ეკონომიკური თანამეგობრობის** ჩამოყალიბება<sup>17</sup>, რაც შთაგონებული იქნება ევროპული ეკონომიკური არეალიდან<sup>18</sup>. ასეთმა თანამეგობრობამ შეიძლება სრულად გაუხსნას გზა პარტნიორ ქვეყნებს ერთიანი ბაზრისაკენ. ამისათვის საჭიროა, რომ პარტნიორმა ქვეყნებმა განავითარონ თავიანთი ეკონომიკური საშუალებები, რათა შეძლონ გაუძლონ კონკურენციის ზეწოლას და აჩვენონ არა მხოლოდ სურვილი, აითვისონ ევროკავშირის სამართლებრივი საფუძვლების (ე.წ. *acquis*) შესაბამისი ელემენტები, არამედ უნდა გამოავლინონ უნარი მათ დასახერგად. ტექნიკური დახმარებისა და დაფინანსების მნიშვნელოვანწილად გაზრდა საჭირო იქნება აღნიშნული მიზნების მისაღწევად.

კერძო სექტორის ჩართვა საგრძნობლად გააუმჯობესებს ბიზნესს პარტნიორ ქვეყნებში. ძალისხმევა მიმართული იქნება დასაქმების გაძლიერებასა და გაუმჯობესებაზე. ნორმალური სამუშაო, სოციალური ინტეგრაცია და თანაბარი შესაძლებლობები დადებითად აისახება ეკონომიკურ ინტეგრაციაზე.

მრავალმხრივმა თანამშრომლობამ უნდა მოიცვას გარემოს დაცვა და კლიმატური ცვლილება და კიდევ სხვა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მრავალმხრივი კონკენციები, სტრატეგიული დაგეგმარება, გარემოს დაცვის მართვა, კონკრეტული თემები, რომლებიც გარემოს დაცვას შეეხება, გარემოს დაცვის ინვესტიციების დაფინანსება რეგიონული კუთხით, კლიმატის ცვლილების დაყვანა მინიმუმადე და მასთან ადაპტაცია, პარტნიორთა ჩართვა საერთაშორისო კონფერენციებში, რომლებიც კლიმატის მომავალ ცვლილებებს ეხება და ამ თვალსაზრისით მოქმედებათა და გამოცდილებათა გაზიარება. აღმოსავლეთის პარტნიორობის მრავალმხრივმა პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს პარტნიორების ურთიერთხართვას ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების ქსელში – ეს კი გულისხმობს როგორც პარტნიორი ქვეყნების, ასევე ევროკავშირის ჩართვასაც და მარეგულირებელი გარემოს პარმონიზაციას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ტრანსპორტის კუთხით უკვე არსებობს<sup>19</sup>. აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივამ შეიძლება გაუწიოს დამატებითი ტექნიკური დახმარება გარკვეულ

<sup>17</sup> ევროკომისიამ ხაზი გაუსვა საჭირო ძალისხმევას 2007 წლის გაზაფხულზე გამოსულ დოკუმენტში “ევროპის სამქობლო პოლიტიკა – გზა შეძლები ეკონომიკური ინტეგრაციისაკენ”,

[http://ec.europa.eu/world/enp/pdf/nonpaper\\_economic-integration\\_en.pdf](http://ec.europa.eu/world/enp/pdf/nonpaper_economic-integration_en.pdf).

<sup>18</sup> ისლანდია, ლიხენსტაინი, ნორვეგია და ევროკავშირის წევრი ქვეყნები.

<sup>19</sup> განსაკუთრებით TRASECA-ს ფარგლებში

საკითხებზე, როგორიცაა მაგალითად საავიაციო უსაფრთხოება, სახმელეთო ნავიგაცია და ინფრასტრუქტურული პროექტები. წინასწარი პლანების გამოყენება და საკომუნიკაციო ქსელები ასევე უნდა განვითარდეს.

### **ენერგეტიკული უსაფრთხოება**

ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების ენერგოუსაფრთხოება მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში შემუშავებულმა ენერგო უსაფრთხოებამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ორმხრივ ინტერესზე.

აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა მიზნად დაისახავს, რომ ენერგოსექტორში განავითაროს და დანერგოს როგორც ორმხრივი მხარდაჭერა, ასევე უსაფრთხოების მექანიზმები. ეს გულისხმობა ადრეული გაფრთხილების მექანიზმებს და ერთობლივ ქმედებებს უსაფრთხოების კუთხით. ერთ-ერთი მიზანი იქნება კონტაქტების გაძლიერება ენერგოუსაფრთხოების კუთხით და მზადყოფნა ენერგეტიკული კრიზისების დასაძლევად. ენერგოუსაფრთხოების ჩამონათვალი ხელს შეუწყობს ამ სამუშაოს ჩატარებას. აღნიშნული ჩამონათვალით შეიძლება, პარტნიორთა ურთიერთდამოკიდებულების განსაკუთრებულ საფუძველზე ჩამოყალიბდეს. ამან შესაძლებელია ევროკავშირის ენერგო უსაფრთხოების ქსელი შექმნას, რომელიც წარმოქმნის არსებულ შეთანხმებებს გაზის მაკორდინელებელ და ნავთობის მიმწოდებელ ჯგუფებთან. აგრეთვე ითვალისწინებს სხვა ფორმატში განხორციელებულ სამუშაოებს ენერგოთანამეგბობრობის ჩათვლით.

სარწმუნო იქნება ურთიერთსასარგებლო, ერთმანეთთან დაკავშირებული და არაერთგვაროვანი ენერგობაზრის შექმნა საშუალოვადით ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის. ამისათვის საჭიროა, განვითარდეს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სამოქმედო გეგმა აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში, რომელიც მხედველობაში მიიღებს სტრატეგიული ენერგეტიკის მეორე მიმოხილვასა და ევროკავშირის პრიორიტეტული ურთიერთკავშირის გეგმას<sup>20</sup>. პარტნიორების მარაგი გაზისა და ნავთობის თვალსაზრისით, ასევე უნდა გაუმჯობესდეს ერთობლივი მარაგის შექმნის წახალისებით. რაც შეეხება მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას, ის მაღალი არაკომერციული რისკის წინაშე დგას. საზოგადო და კერძო პარტნიორობის განვითარება ევროკავშირს დაახლოებს აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრ ქვეყნებთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს.

ევროკავშირისა და მისი პარტნიორების ენერგოუსაფრთხოება გულისხმობს მოწოდებისა და სატრანზიტო მარშრუტების ძლიერ განსხვავებას. ამის დაძლევა

<sup>20</sup> COM(2006) 846 საბოლოო /2, 23.2.2007.

წარმატებით შეიძლება, თუ აღნიშნულ პროცესებში უფრო აქტიურად ჩაერთვება ეწ. მესამე ქვეყნები ცენტრალური აზის ქვეყნების ჩათვლით. აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივამ ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი ამჟამად მიმდინარე ბაქოს პროცესის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ენერგოპარტნიორის გაძლიერებას. ვინაიდან, ცენტრალური აზის ქვეყნები ერთ-ერთი მთავარი ენერგომწარმოებლები არიან, ამიტომ მათ სრულად უნდა მიიღონ აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, საჭიროა სამხრეთის ენერგოკორიდორის განვითარებაც კასპიის ზღვის აუზის ჩათვლით.

## კონტაქტი ხალხთა შორის

ევროკავშირსა და პარტნიორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის კავშირი, განსაკუთრებით ეს ახალგაზრდებს ეხებათ, აღიარებული უნდა იქნეს, როგორც მასტიმულირებელი და ცვლილებათა ხელშემწყობი, რაც წახალისებას საჭიროებს. ევროკავშირი განსაკუთრებულად აღიარებს კულტურული თანამშრომლობის ფასეულობებს და კულტურათაშორის დიალოგს, როგორც მთლიანი საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს. ევროკავშირი ხაზს უსვამს კულტურული თანამშრომლობის მნიშვნელობას, რაც მიმართულია პოლიტიკური პროცესებისა და გამოწვევებისკენ<sup>21</sup>. აღნიშნულ თანამშრომლობას შეიძლება საფუძველი ჩაეყაროს საგარეო დახმარების პროგრამებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლება, ენების შესწავლა და კვლევების ჩატარება. ასევე ხელი უნდა შეეწყოს ინფორმაციული საზოგადოების განვითარებასა და მედიის როლს.

## 4.3. წამყვანი ინიციატივები

აღმოსავლეთის პარტნიორობის მიერ შემუშავებული მიზნები შეიძლება გამოვყოთ, როგორც ინიციატივები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს და თვალსაჩინოს ხდის მრავალმხრივ თანამშრომლობას, რასაც ხელი უნდა შეუწყოს მრავალმა დონორმა. უნდა დაფინანსდეს სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუციისაგან და ასევე კერძო სექტორისგან. ევროკომისია

<sup>21</sup> ევროსაბჭოს 2008 წლის იგნისის დასკვნა, რომელიც გაკეთეს ევროკავშირის მეთაურებმა, პარაგრაფი 78.

მიიჩნევს, რომ ეს ინიციატივები შეიძლება მოიცავდეს ხაზღვის ინტეგრირებული მართვის პროცესამას, მცირე და საშუალო საწარმოს განვითარებას; რეგიონული ელექტრო ბაზრის ხელშეწყობას, ენერგეტიკული ეფექტურობის გაზრდასა და განახლებად ენერგოწყაროებს,<sup>22</sup> სამხრეთის ენერგოკორიდორის განვითარებას და თანამშრომლობას პრევენციების, მზაობისა და ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების შესახებ.

თემატურ პლატფორმაზე სამუშაოდ გათვალისწინებული პოტენციური საკითხები და მოწოდებული განსაკუთრებული ინიციატივები, წარმოდგენილია ევრიკომისის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში.

#### 4.4. მონაწილეობა

მთავრობისა და ევროკომისის წარმომადგენლების გარდა სამუშაოში ჩაერთვებიან ევროკავშირის ინსტიტუციები, საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგალითად, ეუთო), საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუციები, პარლამენტები, ბიზნესის წარმომადგენლები, ადგილობრივი გავლენიანი და დაინტერესებული პირები. ისინი მონაწილეობას მიიღებენ თემატური პლატფორმის ფარგლებში განხილულ საკითხებზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას. ევროკომისიამ წამოაყენა წინადაღება, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებას მომავალშიც შეეწყოს ხელი. ასევე სურვილი გამოითქვა, რომ დაარსდეს აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოებრივი ფორუმი. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს დიალოგის განვითარებასა და ურთიერთობას სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საჯარო პირებს შორის.

ე.წ. მესამე ქვეყნებს შეუძლიათ, რომ ჩაერთონ თემატური პლატფორმის მუშაობაში. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება ეფუძნება საერთო ინტერესებს, გეოგრაფიული სიახლოვე ან არსებული ეკონომიკური კავშირი მას სასარგებლოს გახდის.

ევროკომისია მიესალმება ყველანაირ ინიციატივას ევროპარლამენტისგან საპარლამენტო თანამშრომლობისათვის, რაც აღმოსავლეთის პარტნიორობის განუყოფელი ნაწილია. აგრეთვე, ე.წ. საპარლამენტო ტროიკა მოიცავს ევროპარლამენტს, ეუთოს და ევროპის საპარლამენტო ასამბლეის საბჭოს. მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის მრავალმხრივ ასპექტს.

<sup>22</sup> ამ სექტორში მუშაობა უკვე დაწყებულია INOGATE პროგრამით.

ევროკომისია იწვევს რეგიონული კომიტეტების, ასევე ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მონაწილეებს. განსაკუთრებით კი იმ თემატური პლატფორმის მუშაობაში, რომელიც ეხება დემოკრატიას, კარგ მმართველობას, სტაბილურობასა და კონტაქტს ადამიანებს შორის. ევროკომისია იწვევს რეგიონულ კომიტეტს, რათა დაარსდეს აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონული ასამბლეა; იწვევს ასევე ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტს, რათა მან მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში.

## 5. რესურსები

ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო სიგნალი, რომელსაც ის უგზავნის თავის პარტნიორ ქვეყნებს, არის ის, რომ დაფინანსების დონე აჟყავს პარტნიორობამდე. საგრძნობლად გაზრდილი დაფინანსება ამ შემთავაზებაში განაპირობებს მიზნების მიღწევას.

აღნიშნული დაფინანსების გამოყენება მოხდება აღმოსავლეთის პარტნიორობის წინ წამოწევით და ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამების (CIB) დანერგით, რაც უზრუნველყოფსპილი იქნება რჩევებითა და ტრენინგებით (მაგ. ტექნიკური დახმარების საინფორმაციო გაცვლის ოფისი – TAIEX), ასევე საჯარო ადმინისტრირების, აღჭურვილობებისა და სპეციალიზებური ინფრასტრუქტურის (მაგ. ლაბორატორიების) აუცილებლობით. გაზრდილი რესურსების საშუალებით დაფინანსდება პლატფორმების ფარგლებში გათვალისწინებული ოპერაციები. ეს კი ხელს შეუწყობს განსაკუთრებულ ინიციატივებს, პარტნიორთა რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რაც მიმართულია სტაბილურობისაკენ და სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად.

2008 წელს პარტნიორი ქვეყნების დასაფინანსებლად აღმოსავლეთის სამეზობლო პოლიტიკამ 450 მილიონი ეურო გამოყო. ევროკომისია იმდოვნებს, რომ დაფინანსება 2013 წლისათვის 785 მილიონ ევრომდე პროგრესულად გაიზრდება. ეს კი გულისხმობს, 2010-13 წლებისათვის აღმოსავლეთის სამეზობლო პოლიტიკის დაფინანსების 350 მილიონ ევრომდე გაზრდას. ბიუჯეტის განხილვის ფარგლებში უპირატესობა მიენიჭება დახმარების დონის გაზრდას, იმისდა მიხედვით თუ როგორ აისახება ეს პარტნიორთა ამბიციური პოლიტიკის დონეზე.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის რეგიონული პროგრამა კიდევ გაამახვილებს ყურადღებას, რომ შენარჩუნდეს აღმოსავლეთის პარტნიორობის მრავალმხრივი გაფართოება. 2009 წლისათვის გამოყოფილი თანხა შეიძლება მოხმარდეს გადაუდებელი ინიციატივების დაფინანსებას და დაახლოებისთ 250

მილიონი ევრო იქნება, რომელიც 2010-13 წლების პერიოდისათვის შესაძლებელია სხვა პროგრამების დასაფინანსებლად იქნეს გამოყენებული.

მთელი რესურსები, რომელიც განსაზღვრულია ახალი ინიციატივებისათვის და რომელთა შესახებ ვისაუბრეთ ამ კომუნიკაციაში, შეადგენს 600 მილიონ ევროს.

გაზრდილი საგრანტო დახმარების გარდა, აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა მოითხოვს პრაქტიკული დონისძიებების გატარებას, რათა გაუმჯობესდეს დონორთა კოორდინაცია საინვესტიციო დაფინანსების ბერკეტი, განსაკუთრებით ევროპის საინვესტიციო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მეშვეობით. შუალედური განხილვის გარეშე ევროპის საინვესტიციო ბანკის საგარეო მანდატი აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ ქვეყნებს გაუზრდის დაფინანსებას, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პირობები: დახმარება გამოიყოფა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის. სამოქალაქო/კერძო ინვესტიციებისათვის ხელისშეწყობა არაკომერციული რისკების დაფარვით უნდა მოხდეს. საინვესტიციო სამეზობლო მექანიზმი შეიძლება გამოყენებული იყოს ევროკავშირის საგრანტო ფონდის პროექტებისათვის, მაგრამ ევროკომისია მიმართავს წევრ ქვეყნებს, რომ ფინანსური დახმარება გაუწიონ აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივას, რაც, ამავე დროს საინვესტიციო სამეზობლო მექანიზმისათვისაც გულისხმობს დახმარების გაზრდას. დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აღნიშნულ საკითხებს ეხება და წარმოდგენილია ევროკომისიის დოკუმენტებში, თან ახლავს ამ კომუნიკაციას.

აღმოსავლეთის პარტნიორობის განსახორციელებლად საჭირო იქნება ადამიანური რესურსები ევროკომისიის შესაბამისი საქმის განხორციელების ფარგლებში. განსაკუთრებით ეს ეხება პარტნიორ ქვეყნებში მომუშავე ევროკომისიის დელეგაციებს, რომელთა გაძლიერებაც აუცილებელია.

## 6. შეჯამება

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ახლა უფრო აქტიურია ვიდრე ოდესმე, ვინაიდან ევროკავშირის ინტერესის ფარგლებში შედის, ხელი შეუწყოს უგეოეს მმართველობას და ეკონომიკური განვითარებით განსაზღვრული ვალდებულებების აღებას. ევროკავშირისათვის პარტნიორებთან ურთიერთობათა გაღრმავება აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში არის როგორც სტრატეგიული მოთხოვნა, ასევე პოლიტიკური ინვესტიცია, რაც ევროპის მოქალაქეებს შემდგომში დივიდენტებს მოუტანს.

აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა ენერგიულად უწყობს ხელს რეფორმების გატარებას, საბაზო ინტეგრაციას, სტაბილურობის დამყარებასა და ახალ სასაზღვრო ზოლში რისკების გამოვლენის აღმოფხვრას. ევროკომისია მოუწოდებს საბჭოს და ევროპარლამენტს, რომ მათ ძლიერი ფინანსური დახმარება გაუწიონ აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივას.

ევროკომისია გამოდის წინადადებით, რომ 2009 წლის გაზაფხულის სამიტი გახსნას აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივამ, რომელშიც პარტნიორებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მეთაური ან მთავრობის წარმომადგენელი. “აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტი” მიიღებს პოლიტიკურ დეკლარაციას, სადაც ჩამოყალიბებული იქნება პარტნიორობის მთავარი მიზნები და პრინციპები. ამაგვ დროს, ზოგადი პროცესებიდან გამომდინარე განისაზღვრება თანამშრომლობის მთავარი მიმართულება.